ISSN 0132-3965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1980 დეკემბერი N 12

ფილოსოფიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთადერთი ქალაქი

მოგზაურობა ოქტომბრის ქვეყანაში

ახალგაზრდობას ორი შესანიშნავი დღე აქვს ნოემბერში — 10 ნოემბერი ახალგაზრდობის მსოფლიო დღეა, 17 ნოემბერი — სტუდენტთა საერთაშორისო დღე.

თქვენ ჯერ პატარები ხართ, თქვენი სიჭაბუკე, თქვენი სტუდენტობა მომავლის საქმეა და სწორედ ამიტომ, ახალგაზრდობის ამ მშვენიერი დღეების აღსანიშნავად, ჩვენ გვინდა გიამბოთ თქვენი მომავლის ქალაქზე. ეს არის ქართული სიჭაბუკის ქალაქი — კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე.

ბავშვებო, თქვენ ალბათ ყველას ძალიან გიყვართ მოგზაურობა. ჰოდა, აბა აიკარით გუდა-ნაბადი და გამოგვყევით ამ ქალაქის დასათვალიერებლად. შორს კი არ არის, სულ ახლოს, თელეთისაკენ მიმავალ გზაზეა,



ბორის ძნელაძის ძეგლი
კომკავშირულ ქალაქ ბ. ძნელაძეში.

ცოტა გასცდებით ფშავ-თბილისს, იქვე, გადასახვევში, შავნაბადას მთის კალთებზე.

სულ ხუთი წლის წინათ, 1975 წლის 17 ივნისს ჩაეყარა საფუძველი მის მშენებლობას, ახლა კი ჩვენს წინ ნამდვილი პატარა ქალაქია — საბჭოთა კავშირში პირველი და ერთადერთი ასეთი კომკავშირული ქალაქი.

აი, რა შესძლებია მონდომებას და ერთსულოვნებას!

...მივყვებით საგარეჯოს აღმართს, აქეთ გორის ქუჩაა, იქით მახარაძის ქუჩა, თუ მოინდომებთ, ბათუმის ქუჩისაკენ შეიძლება გაისეირნოთ, სოხუმის ქუჩასაც ესტუმროთ. თურმე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მშენებლობაზე ჩამოსულ კომკავშირელებს თავ-თავიანთი ქალაქების სახელები დაურქმევიათ ქუჩებისათვის და თავ-თავიანთი კუთხის შესაფერი იერი მიუციათ მათთვის. ხომ სასიამოვნოა, არა? და თან საამაყო.

აგერ გამარჯვების მოედანი. თქვენ თვალებს იფშვნეტთ, იქნება სხვა პლანეტაზე მოვხვდითო, — ფიქრობთ... რა არის ეს ვეებერთელა გრანიტის ლოდი მოედნის შუაგულში?აჰა, აი წარწერაც მარმარილოს ფილაზე: „აქ ინახება 1979 წლის 12 მაისს ქალაქ თბილისში გამართული საქართველოს სსრ სტუდენტთა აქტივის კრების მონაწილეთა მიმართვა 2017 წელს — დიდი ოქტომბრის 100 წლისთავის ზეიმის მონაწილე სტუდენტებისადმი. ჩაშენებულია 1979 წლის 16 სექტემბერს“.

აი თურმე რა ყოფილა! 2017 წელსო... წარმოგიდგენიათ? იქამდე თითქმის ნა-

„ᲓᲘᲓᲘᲡ“ ᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ. ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ — ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲐᲦᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲓᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲛᲘᲐᲜᲘᲭᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲫᲔᲚᲐᲫᲘᲡᲨᲔᲛᲥᲛᲜᲔᲚ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲡ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევარი საუკუნეა! გაივლის წლები, მოვლენ ახალი და ახალი თაობები, მოვა ახალი და ახალი ძალა. მომავალი, ოცდამეერთე საუკუნის ახალგაზრდები, თქვენი შვილიშვილები ასწევენ ვეებერთელა ლოდს, ამოიღებენ მასში ჩაშენებულ მიმართვა-ქაღალდს და გაიგებენ, თუ რა სასწაულებს ახდენდნენ მათი მამები და პაპები, დედები და ბებიები, მეოცე საუკუნის კომკავშირელები, როგორ აშენებდნენ, ჭედავდნენ, ხნავდნენ და მკიდნენ, რათა მომავალს მათი ნერგის კეთილი ნაყოფი მოემკო.

ᲔᲡ ᲡᲕᲐᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲨᲙᲘ — ᲛᲔᲡᲢᲘᲔᲚᲛᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲐᲒᲔᲡ.

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲮᲔᲓᲘ.

ახლა დავუტოვოთ ეს ლოდი მომავალ ასწლეულს და ისევ გამოვუყვეთ სიჭაბუკის ქალაქის ქუჩებს. რა არის ეს? სვანური კოშკი? ვინც სვანეთში არ ყოფილა, იმას ფილმებში თუ უნახავს ასეთი ზღაპრული, ცადაწვდილი კოშკები. საიდან სადაო? საიდან და... ჩამოვიდნენ აქ სვანი ახალგაზრდები და იმედის, რწმენის, ვაჟკაცობის სიმბოლოდ ააშენეს მომავლის საყრდენი კოშკი, ისეთი, როგორებიც მათს პაპებს უშენებიათ წარსულში.

სიჭაბუკის ქალაქის კიდევ ერთი და მრავალი მტკიცე კედლებია სიღნაღელი და გურჯაანელი კომკავშირელების ხელით ნაგები ეზომიდამოც, მეგრული პატარა ფაცხაც და კიდევ რამდენი რამ, რასაც ჩვენი საქართველოს სხვადასხვა კუთხის სუნთქვა მოაქვს შავნაბადას კალთებზე.

ეს თანამედროვე შენობები კი სასწავლო კორპუსებია — აქ ახალგაზრდები სწავლობენ კომკავშირული მშენებლობის საკითხებს, ფიქრობენ, მსჯელობენ მომავალზე. მალე მუშაობას დაიწყებს პიონერხელმძღვანელთა სკოლაც და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ საინტერესო

16406

კ. მარქსის სახ. სოფ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

ხელოვნური ტბა.

საქმეს დაედება ამ ქალაქში სათავე!

როგორც ნამდვილ ქალაქს ეკადრება, აქ არის სპორტული ნაგებობებიც, სასტუმროც, შესანიშნავი ქუჩები, მოედნები და ხეივნებიც.

აი სამამულო ომში დაღუპულთა სახსოვარი — დიდების მემორიალი. აგერ ომში დაღუპული კომკავშირელი პოეტის მირზა გელოვანის ძეგლიც. დგას წიგნით ხელში პოეტი და თითქოს გვეხმიანება: „მე მწამს სიცოცხლე და გამარჯვება!“

ქალაქის მთავარ მოედანზე ვ. ი. ლენინის ძეგლია. შორიახლოს კი დგას ძეგლი იმ ადამიანისა, ვისი სახელიც დაარქვეს სიჭაბუკის ქალაქს. ეს ბორის ძნელაძეა, საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი და სულისჩამდგმელი.

ხედავთ ფუტკრის სკასავით ჩამწკრივებულ ამ კოპწია ცისფერ სახლებს? ეს კოტეჯები პიონერთა საზაფხულო ბანაკისათვის არის განკუთვნილი.

აი, ამ ხეივანში ჯერ სულ პატარა ნერგებია ჩამწკრივებული, ისინი ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ადამიანთა ხელით არის დარგული, რასაც იუწყება თითოეულ მათგანზე მიმაგრებული წარწერა. გავა ხანი და ტანს აიყრის, აშრიალდება ეს ხეივანი!..

აგერ კიდევ მოლივლივე ტბა „რობინზონის კუნძულით“ და თეთრად მოფარფატე გედებით...

ყოფილხართ როდისმე „მწვანე თეატრში“? არა? აჰა, ესეც „მწვანე თეატრი“! რომ იცოდეთ, როგორი ფესტივალები, დილები ეწყობა ხოლმე აქ! როცა წამოიზრდებით, ალბათ ბევრ თქვენგანსაც მოგიწევთ ამ თეატრის სცენაზე გამოსვლა.

აი სახვითი ხელოვნების ცენტრიც. შენობის ფასადიდან გეგებებათ მოზაიკური პანო „ჰიმნი ახალგაზრდობას“. საგამოფენო დარბაზში კი გამოჩენილი მხატვრების ნამუშევართა გვერდით ახალგაზრდების, და ასე გასინჯეთ, ბავშვების ნამუშევრებიც კია წარმოდგენილი. იქნებ მომავალში რომელიმე თქვენგანის ნახელავი ვიხილოთ იმ დარბაზში?

საგამოფენო დარბაზი

მაგრამ ეს მომავალში! ნუთუ დღევანდელ ოქტომბრელებს არაფერს ჰპირდება კომკავშირული ქალაქი?

მოითმინეთ!

აი ეს სააქტო დარბაზი, სადაც საზეიმო შეხვედრების გამართვაა გათვალისწინებული, დროდადრო ოქტომბრელებს დაეთმობა.

გახსოვთ ჩვენი ჟურნალის მე-8 ნომერში გადავწყვიტეთ, რომ წელიწადში სამჯერ უნდა გამოვავლინოთ ოქტომბრელთა საუკეთესო ეკიპაჟები — „შუქურვარსკვლავები“, რომლებიც ყველაზე უფრო გამოიჩენენ თავს საკავშირო მარშში. აქ, კომკავშირულ ქალაქში, სააქტო დარბაზში, რომლის ჭერი, ზედ გაფანტული, წვრილ-წვრილი ნათურებით აკიაფებული ჭაღებით ნამდვილ ცას, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას წააგავს, მოეწყობა ხოლმე „შუქურვარსკვლავების“ საზეიმო დაჯილდოება, ოქტომბრელთა რიგებში საზეიმო მიღება.

ახლა კი ისევ თქვენს მომავალზე! დღეს ქალაქი ბორის ძნელაძე ყველა თავისი მშვენიერებით ქართლის მცხუნვარე მზის გულზეა გაშლილი, მაგრამ ქალაქის ირგვლივ ტყე-პარკი შენდება და მალე, როცა თქვენ, მერე კი თქვენი უმცროსი და-ძმები კომკავშირელები გახდებით, აქ ახალგაზრდა ტყე იშრიალებს. ქალაქთან ერთად ეს ტყეც სამოცდაათიანი-ოთხმოციანი წლების ახალგაზრდების ხელით შექმნილ მარადიულ ძეგლად დარჩება.

ირინე ტალიაშვილი

სასტუმრო

იოსებ ნონეშვილი

აგვისტო იდგა. „დილის“ რედაქციაში იოსებ ნონეშვილმა შემოიარა. სიხარულით შეეგებნენ ძველი თანამშრომლები, ისინი, ვინც მხარში ედგნენ მას ათ წელზე მეტი ხნის მანძილზე, 1952 — 1963 წლებში, როცა ის ჟურნალ „დილას“ ხელმძღვანელობდა. იოსებ ნონეშვილი კეთილი და გულიანი, სიყვარულის უხვად მხარჯველი კაცი იყო და რაკი სიყვარული და სიკეთე ჰქონდა დათესილი, გულითადი მეგობრობაც მოიმკო...

მას უყვარდა ბავშვები. უყვარდა მათთან შეხვედრა, ლექსების წაკითხვა და მათი ჟურნალის მოსმენა საბავშვო ბაღებში თუ სკოლებში; უყვარდა „დილა“ და ცდილობდა უფრო და უფრო მიმზიდველი გაეხადნა იგი პატარებისათვის — სათანამშრომლოდ იწვევდა სახელოვან მწერლებსა და მხატვრებს, ნიჭიერ ახალგაზრდობასაც სიამოვნებით უღებდა რედაქციის კარს. ბევრმა ამჟამად ცნობილმა შემოქმედმა მისი ხელშეწყობით, „დილის“ ფურცლებზე აიდგა ფეხი.

და აი, ამ ზაფხულს ნონეშვილმა თავის საყვარელ ჟურნალს მოაკითხა... შემოდგომაზე, ოქტომბერში კი ის გარდაიცვალა.

მას უყვარდა შემოდგომა — „ხილით, ლხინით, ზეიმით“ შემოსული ქართული შემოდგომები და იმასაც ასწავლიდა ბავშვებს, რომ „მოსავალი ულევი“ მათი მშობლების გარჯით იყო მოწეული. ასწავლიდა, პატივი ეცათ ამ გარჯისათვის.

იოსებ ნონეშვილი მთელი ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი იყო. იყო და არის. იყო და დარჩება. დარჩება, რადგან მისი ლექსი უაღრესად წრფელი სიყვარულით ხატავდა და მთელ ქვეყანას თითქოს ხელის გულზე უშლიდა ჩვენს სამშობლოს — „არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვიაო!“

ეს ლექსი, ისევე, როგორც იოსებ ნონეშვილის ბევრი სხვა ლექსი, დღეს სიმღერად არის ქცეული. თქვენც უსათუოდ გაგიგონიათ მშვენიერი სიმღერა ვაზზე — „ვაზო ლამაზო, ფესვო ნაკურთხო“... ან სიმღერა კახეთზე — „ცივ გომბორიდან სიმღერით დილის მზის გადასახედი, მოჩანს იისფერ ნისლებში კახეთი, ჩემი კახეთი“... ანდა სიმღერა სიყვარულზე —

„ღმერთი სიყვარულისა
თუ გულით არ იწამე,
მაშ სიცოცხლე რისთვის
გინდა
ამ დალოცვილ მიწაზე“

და კიდევ ბევრი, ბევრი სხვა...

ახლა დეკემბერია. ახალი წელია კარზე მომდგარი და მოდით, გავიხსენოთ ჩვენი სახელოვანი პოეტის კიდევ ერთი ლექსი, გავიხსენოთ და იმავე სიყვარულით დავულოცოთ გზა ახალ წელს:

„საახალწლოდ რეკავს ზარი,
აზარფეშა სავსე არი,
სიხარული, სიყვარული
საგულეში გულად გვედოს,
სავსე ხონჩით მოდის მეკვლე,
გავხსნათ კარი, გულის კარი,
ბედნიერი წელიწადი
დაგვეკვებოს, დაგვებედოს!..

ზამთარია,

გაჭიეგის გუნდაობა

ნოდარ ზამბანაძე

თოვლი მოდის, თოვლის მოსყლით
ბაჭიებმაც გაიხარეს,
გაჩაღეს გუნდაობა,
იცინეს და ისარსარეს.
ეკალანი რომ ხალისობდნეს,
ბეტრიალდა სქმე ცოდად, —
ერთმა ცელქმა ეურცანცარამ
დაასველა წყალში გუნდა,
ძმას ეცროლა, თავლში მოსვდა,
ბირეკელმა გადაბრუნდა.
ხაწკალს თოვლი გაუსიდა,
დედას დარდით ტკივა გული,
ეურცანცარაც ნანობს ახლა,
რას უშველის სინანული?!

ქუჩის საათი

სულხან ავდალაძე

მოსხნს ქუჩის საათი
ზემი ხახლის ფანჯრიდან.
როგორც ახლა, წუხელის
ბარდნიდა და ბარდნიდა.
ირეკლიე ეზო-ბალები,
ქუჩაც თოვლით ივსება,
ამ ეინეაში ნეტავი
რა უნდა ქნან ინრებმა!
ჰოდა, ნეკი ხათუნა
დარდიანი გამხდარა:
„ამ დიდ ინარს რა უკირს,
ცოდვა არის ბატარა.

ზამთარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკემბერი

ბაბა ჩაბანიანი

ბალკონიდან ქარქადით
დეკემბრის ქარი ამბობს,
ფოფლი ამბობენ ლეკვიდი
და ლრეტლის ფოთლი ძაგძაგი —
ეან ლეკი ეინეფერეული
ხან ეაწეინდა თოვლი.
მოწეეხილია ბალი
ტანსაცმელმოსაძარცული.
მოსაკრეფია ხელანი
ეალთიანობიდან ხაგზელის.
ბალის ამეიდის დაბეი
ეოფილ ეაძეებულია
ახალ წყლის თოვლის ბანეა
ეეთო ხიდან წამოეგანერეს.

ქუჩის საათი

ავდალაძე

ეს ბატარა ინრა,
ეანს წყალეობეი მოეკლეულ...
არ ეაწერდა,
არ დადგა
არ დადგა ოუ ეაუგრეულ?
მოიდან ქარი უბერეს,
რა ცივი ხმითრა,
[illegible]
[illegible]
ბალ ხიდან ბაგარეს
ხაიბეკენს, ეკეთობს..
ამბარეე, ოცოცხლე
ზემი ქუჩის ხათო!

მურზაყანი და მურათბი

სიმონ შამფრიანი

მხატვარი ედუარდ ამგოკაძე

უნდა გაგაცნოთ, ბავშვებო,
მურზაყანი და მურათბი, —
ორივე თქვენი ტოლია,
ორივე გახლავთ გულადი;
ორივე ბიჭი სვანია
და მეზობელი ერთურთის.
თავზე დაჰყურებთ მცინარე
ბროლის მურყვამი* თეთნულდი.
დღე და ღამ ყურში ჩაესმით
ენგურის დგრიალ-დგრიალი,
ვარშემო ლურჯი მთებია,
ნისლებიანი, ტყიანი.

მურათბის და მურზაყანის
ძამებს ვინ არ იცნობს, —
შუკად უჩანთ უფსკრულებზე
ბილიკები ვიწრო;
დაულაშქრავთ უკარება
უშბა,
შხარა,
მხელდა...
იალბუზზე ფეხი შედგეს,
მყინვარს დასცეს ელდა.
ასახელეს საქართველო,
მთამსვლელების ჯიში.
მაღლა,
მაღლა მიილტვიან
ცხადშიაც და ძილშიც.

ძველთაგანვე ნათქვამია:
კვიცი გვარზე ხტის.
მამების კვალს აედევნა
ფიქრი ორივ ძის.
სურთ, რომ იყვნენ სასახელო
მკვიდრნი მშობელ მთის.
თვალი ჰქონდეთ არწივული,
მუხლი შევარდნის,
სულ ახლოდან დაინახონ
საოცრება ცის,
იქნებ... ხელიც წაატანონ
ვარსკვლავების მძივს.

ოღონდ სანამ უშბას
დაადგამენ ფეხს,
უნდა მოერიონ
უფრო მცირე კლდეს.

სოფლის თავში ერთი გორა
აღმართულა თმაქოჩორა.
ცალ მხარეზე ფიჭვის ტევრი,
ცალ მხარეზე ციცაბოა,
რკინისგულა დაერქმევა,
ამ ქარაფზე ვინც ამოვა.
ჰოდა, სწორედ ამ ციცაბოს
ჩაჰკრობიან მთელი ტანით
განუყრელი მეგობრები —
მურათბი და მურზაყანი.
მზის სხივები ჯერეთ მარტო
მწვერვალებზე ათინათობს,
ხეობაში ნისლის ფთილა
ბამბასავით გაპენტილა.

წინ მურზაყანი მიცოცავს
აუჩქარებლად, დინჯად.
ხელის და ფეხის მოსაკიდს
საგულდაგულოდ სინჯავს.
ხანდახან წუთით ჩერდება,
მუხლებს ასვენებს დაღლილს,
ხომ არაფერი უჭირსო, —
ძმობილს დახედავს მაღლით.
მურათბიც კვალში მიჰყვება,
ხვითქი გადასდის შუბლზე,
კლდეზე გაწოლილს დაბლიდან
მხნედ და ღიმილით უმზერს.
— მარტოდენ მაღლა იყურე,
არ ჩაიხედო ქვემოთ, —
თორემ შიში ამ სიმაღლის
დაგძლევს, მურათბი ჩემო.
— ვიცი, — მიუგებს მურათბი,
და ჩემი ფიქრი ნუ გაქვს,
შენც მხოლოდ ზევით იცქირე,
ნუ მოიხედავ უკან.

დაექანცათ მუხლები,
გაელუმპათ ბეჭები,
მაინც ნირს არ იცვლიან,
მიცოცავენ ბიჭები.

* მურყვამი — სვანურად კოშკს ჰქვია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰოი, როგორ აცხუნებს
თაკარა მზე მკათათვის!
რა ქნან, ყელი უშრებათ, —
წვეთი წყალი არსად დის.
თან შიმშილმა იძალა —
დღეს არ წაუხემსიათ,
მჟაუნაც კი არსად ჩანს,
მხოლოდ კლდე და ხრეშია.
მაინც სულ წინ იწევენ,
მაინც ნირს არ იცვლიან,
ბევრი არა დარჩა რა —
ეს მათ კარგად იციან.

უცებ, სად იყო, სად არა,
კლდე აესვეტათ ტიალი,
შუბლშეჭმუხვნილი, პიტალო,
ჩაჟანგებული, მტირალი.
ვაჟკაცსაც გაუჭირდება
მისი დაძლევა წრიაპით,
ოსტატობაა საჭირო
ყველა მთამსვლელი წინაპრის.
დაღონდნენ ჩვენი ბიჭები —
ვერ აისრულეს წადილი,
ვერ მიიყვანეს ბოლომდე
დანაქადები ამ დილით,
ფრიალოების დალაშქვრა
როდი გამოდგა ადვილი.
თურმე რა ძნელი ყოფილა
იყო მთამსვლელი ნამდვილი.

დაეშვნენ ქვევით
მდუმარედ, ნელა,
მოაცილებდათ
ქორების სტვენა...
და როცა ისევ
ახედეს გორას
და შორს გარინდულ უშბას,
— „დაგვაცათ...
ცოტა წამოვიზარდოთ!..“
გულში წარმოთქვეს კუშტად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1981

იანვარი

ორშ.		5	12	19	26
სამ.		6	13	20	27
ოთხ.		7	14	21	28
ხუთ.	1	8	15	22	29
პარ.	2	9	16	23	30
შაბ.	3	10	17	24	31
კვ.	4	11	18	25	

თებერვალი

2	9	16	23
3	10	17	24
4	11	18	25
5	12	19	26
6	13	20	27
7	14	21	28

მარტი

2	9	16	23	30
3	10	17	24	31
4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	
7	14	21	28	

აპრილი

	6	13	20	27
	7	14	21	28
1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	
4	11	18	25	
5	12	19	26	

მაისი

ორშ.		4	11	18	25
სამ.		5	12	19	26
ოთხ.		6	13	20	27
ხუთ.		7	14	21	28
პარ.	1	8	15	22	29
შაბ.	2	9	16	23	30
კვ.	3	10	17	24	31

ივნისი

1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	
4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	
7	14	21	28	

ივლისი

	6	13	20	27
	7	14	21	28
1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	31
4	11	18	25	
5	12	19	26	

აგვისტო

	3	10	17	24	31
	4	11	18	25	
	5	12	19	26	
	6	13	20	27	
	7	14	21	28	
1	8	15	22	29	
2	9	16	23	30	

სექტემბერი

ორშ.		7	14	21	28
სამ.	1	8	15	22	29
ოთხ.	2	9	16	23	30
ხუთ.	3	10	17	24	
პარ.	4	11	18	25	
შაბ.	5	12	19	26	
კვ.	6	13	20	27	

ოქტომბერი

	5	12	19	26
	6	13	20	27
	7	14	21	28
1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	31
4	11	18	25	

ნოემბერი

2	9	16	23	30
3	10	17	24	
4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	
7	14	21	28	
1 8	15	22	29	

დეკემბერი

	7	14	21	28
1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	31
4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	

სპილო და მენავე

ინდური თქმულება

ძველად ინდოეთში ცხოვრობდა ერთი ძლიერი და მდიდარი რაჯა. ერთხელ ძალიან ავად გახდა. ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოიხმეს სასახლეში მკურნალები, მაგრამ რაჯას ვერაფერი უშველეს. ავადმყოფი დღითი დღე უარესად ხდებოდა.

ერთხელ სასახლეში მოვიდა ერთი ბრძენი მოხუცი და უთხრა რაჯას:

— მე მოგარჩენ, ოღონდ გასამრჯელოდ იმდენი ოქრო მომეცი, რამდენსაც შენი ყველაზე დიდი სპილო აიწონისო.

რაჯა შეჰპირდა: შენ ოღონდ მომარჩინე და მაგაზე უარს როგორ გეტყვიო.

გავიდა რამდენიმე დღე. რაჯა გამოჯანმრთელდა. ახლა ანგარიში უნდა გაესწორებინათ, მაგრამ როგორ? სად უნდა ეშოვათ ისეთი დიდი სასწორი, რომ რაჯას ყველაზე დიდი სპილო და მერე იმავე წონის ოქრო აეწონა. რაჯის ბრძანებით ინდოეთის ყველა კუთხიდან სასახლეში მოიწვიეს ბრძენი და სწავლული ხალხი, რომ რამე მოეფიქრებინათ.

სამი დღე და ღამე იფიქრეს და ვერაფერი მოიფიქრეს.

მეოთხე დღეს სასახლეს ერთი ღატაკი კაცი მოადგა, მოახსენეთ რაჯას, მე შემიძლია უსასწოროდ ავწონო სპილოც და მისი წონა ოქროცო.

სასახლის მცველებმა ღატაკს სცემეს და გააგდეს, ამდენ სწავლულს და ბრძენს ვერაფერი მოუსაზრებია და ამ საპყარმა რა უნდა გაგვიკეთოსო!

რაჯამ ყური მოჰკრა ყაყანს და იკითხა, ეზოში რა ამბავიაო.

— ჰოი, დიდებულო რაჯა, — მოახსენეს მას, — ვიღაც გიჟი მოვიდა, დაუჟინია, მე შევძლებ სპილოს და მისი წონა ოქროს აწონასო. ასეთ ტყუილს ვინ დაუჯერებდა! ავდექით და გავაგდეთ.

— სასწრაფოდ დააბრუნეთ და აქ მომგვარეთო, — ბრძანა რაჯამ და მისი ბრძანება უმალ შესრულდა.

რაჯა ტკბილად შეხვდა ღატაკ მოხუცს და ვინაობა გამოჰკითხა.

— ერთი მენავე კაცი ვარ, — მიუგო უცნობმა, — ნავით გადამყავს ხალხი განგის ერთი ნაპირიდან მეორეზე, თავსაც და ოჯახსაც ამით ვარჩენო.

— როგორ უნდა აწონო სპილო და ოქრო? — ჰკითხა რაჯამ.

— დიდებულო რაჯა, — მიუგო მენავემ, — მაგას ახლავე თქვენი თვალით ნახავთ! მხოლოდ სპილოების მარეკს უბრძანეთ თქვენი სპილო მდინარესთან მოიყვანოს, სადაც ჩემი ნავია მიბმული.

რაჯამ სპილოების მარეკს უბრძანა მენავის სიტყვა შეესრულებინა, თვითონ კი სწავლულთა და ბრძენთა თანხლებით გაეშურა უჩვეულო სანახაობის საყურებლად.

— სპილო მდინარის პირას მიიყვანეს. მენავემ სთხოვა, სპილო ნავზე შეაყენეთო.

როცა სპილო ნავზე შეაყენეს, ნავმა სიმძიმისაგან ჩაძირვა დაიწყო, მენავემ ცარცი აიღო, წყალში ჩავიდა და სადამდეც ნავს წყალი ადგებოდა, გარე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნამდვილი ადამიანი

ვასილ სუხომლინსკი

ცხელ, უწყლო ველზე ჭაა ამოყვანილი. ჭის-ახლო, ქოხში, პაპა და შვილიშვილი ცხოვრობენ.

ჭასთან გრძელ თოკზე ვედრო ჰკიდია. მოდიან და მოდიან მგზავრები, ქისკენ შეუხვევენ, წყალს დალევენ, პაპას მადლობას მოახსენებენ და გზას განაგრძობენ.

ერთხელ ვედრო თოკს მოწყდა და ღრმა ჭაში ჩავარდა. პაპას სხვა თოკი არ ჰქონდა, რომ ჭიდან წყალი ამოეღო და დაელია.

მეორე დილას ქოხს ერთი გლეხკაცი მოადგა. ურემზე, ნამჯის ქვეშ ვედრო ჰქონდა შენახული.

მგზავრმა ჭას შემოუარა, მერე პაპასა და შვილიშვილს გადახედა, ცხენებს მათრახი გადაჰკრა და გზა განაგრძო.

— ეს რა კაცი იყო?—ჰკითხა შვილიშვილმა პაპას.

— ეს არ იყო კაცი, შვილო,—მიუგო პაპამ.

შუადღისას ქოხთან ახლა სხვა მგზავრმა გააჩერა ურემი. ნამჯის ქვეშიდან ვედრო გადმოიღო, თოკი გამოაბა, წყალი ამოიღო, დალია, მერე პაპასა და შვილიშვილს დაალევინა. წყალი მშრალ სილაზე გადაღვარა, ვედრო ისევ ნამჯის ქვეშ შეინახა და გზა განაგრძო.

— ეს რაღა კაცი იყო?—ისევ ჰკითხა პაპას შვილიშვილმა.

— არც ეს იყო კაცი,—უპასუხა პაპამ.

საღამო ხანს ქოხს კიდევ ერთი მგზავრი მოადგა. ურმიდან ვედრო გადმოიღო, თოკი გამოაბა, წყალი ამოიღო, დალია, მადლობა თქვა და გზას დაადგა, ვედრო კი ჭასთან, თოკზე გაძობმული დატოვა.

— ეს რა კაცი იყო, ბაბუ,—ჰკითხა ბიჭმა.

— აი, ეს კი მართლა კაცი იყო!—თქვა პაპამ.

თარგმნა **ბივი კაკაბაძემ**

დან ხაზი გააყოლა, მერე სპილო ნაპირზე გადმოაყვანინა და თქვა:

— ახლა უბრძანეთ, ნავი ოქროთი დატვირთონო.

ნავზე ოქროს ზოდები დააწყვეს, უმატებდნენ და უმატებდნენ, ვიდრე ნავი ზედ აღნიშნულ ხაზამდე არ ჩაიძირა.

— აი, ახლა ოქროც სპილოს წონისაა, — წამოიძახა მენავემ.

ყველანი გაოცებული დარჩნენ ღატაკი მენავის ასეთი საზრიანობით. რაჯამ კი ხაზინადარს უბრძანა, მენავე უხვად დაეჯილდოებინათ.

თარგმნა **ნინო თოფჩიშვილმა**



მზია ხეთაგური

რა ჩემი საქმეა

იყო ერთი ბიჭი. არც არაფრის დარდი ჰქონდა, არც არავის ჯავრი. მეზობლის სახლს ცეცხლი რომ წაჰკიდებოდა,— რა ჩემი საქმეაო. ქალი რომ შეხვედროდა მძიმე ჩანთით ხელში, არ დაეხმარებოდა,—რა ჩემი საქმეაო. უსინათლო მოხუცი რომ წაბორძიკებულიყო, გზის მეორე მხარეზე არ გადაიყვანდა,—რა ჩემი საქმეაო. სიმართლე რომ სცოდნოდა, ეჭვმიტანილ პატიოსან კაცს მოწმედ არ დაუდგებოდა, — რა ჩემი საქმეაო. ერთი სიტყვით, იყო თავისთვის; არხეინად ცხოვრობდა და საკუთარი ცხვირის მიღმა არ იხედებოდა.

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს „რა ჩემი საქმეა“ ბიჭი მდინარეზე წავიდა გასაგრილებლად. ის იყო გული იჯერა ბანაობით და წყლიდან ამოსვლა დააპირა, რომ მდინარე ადიდდა. ცუდად წავიდა „რა ჩემი საქმეას“ საქმე. მიშველეთ, მიშველეთ!—ყვიროდა, ხელებს იქნევ-

ჭალარა წვიმა

ბუნდო მუმლაძე

ნოემბრის, ცივი, წვიმიანი დილა იდგა. ბაბუა სახლის ლაფაროში ფუსფუსებდა, ძველ სკამებს აჭედებდა.

პატარა დათო კი იქვე თამაშობდა, ლურსმნებს მიწაში არჭობდა და ბაბუას ფეხებში ებლანდებოდა.

— შედი, ბიჭო, სახლში, არ გაცივდე, ეგ ჩაქუჩი კი აქ მომე, ნუ ხარ ხელისმაშალა!— რამდენჯერმე შეუძახა ბაბუამ, ჩაქუჩი წაართვა, მაგრამ თავიდან ვერ მოიშორა.

დათო სიცივისაგან იძუძგებოდა, მაგრამ შინ მაინც არ შედიოდა, იჯდა და ფიქრიანად ადევნებდა თვალს საქმეში გართულ თოვლივით გათეთრებულ ბაბუას. მერე მზერა გარეთ, თოვლგარეულ წვიმაზე გადაიტანა და ისევ ბაბუას შეხედა:

— ბაბუ, რატომ გაქვს თეთრი თმები?

— დავბერდი, დათო და იმიტომ, თორემ ადრე მეც შენსავით კუპრივით შავი თმა მქონდა! — ნაღვლიანად უპასუხა ბაბუამ და თავზე ხელი გადაუსვა.

— წვიმაც ბერდება, ბაბუ?

— წვიმაც ბერდება, ჩემო დათო!—გაეცინა ბაბუას,—აი, მალე თეთრწვერა ზამთარიც გვეწვევა და წვიმაც ჩემსავით მთლიანად გაჭალარავდება.

დათო დიდხანს ჩაფიქრებული უყურებდა ჭალარა წვიმას, რომელსაც დაუნდობლად წეწდა სუსხიანი ქარი. წვიმაში აქა-იქ გარეული მსხვილ-მსხვილი თეთრ ფანტელებს ქარი ლაფაროში ყრიდა: წვიმას თანდათან ემატებოდა ჭალარა...

და, მაგრამ სანუგეშო ხმა არსაიდან ესმოდა. დიდხანს ფართხალებდა წყალში — მდინარე ხან ნაფოტივით ამოისვრიდა, ხანაც ქვებზე ახლიდა „რა ჩემი საქმეას“. ამასობაში ნაპირზე ხალხი მოგროვდა. უშველეთ, უშველეთო, — აყვირდნენ და წყალში შესვლაც დააპირეს, მაგრამ როცა იცნეს, ვინ იყო, არხეინად სეირის ყურება დაიწყეს.

— ვიხრჩობიიი! — გაყვიროდა სასოწარკვეთილი „რა ჩემი საქმეა“, ხალხი კი იცინოდა, — რა ჩვენი საქმეაო.

— შემიბრალეთ, — ეხვეწებოდა ხალხს ბიჭი, ხალხი კი სიცილით იჭაჭებოდა. ამ დროს უცხო მგზავრმა ჩამოიარა. გაიკვირვა, — ეს რა ხალხია, ადამიანი იხრჩობა, ესენი კი სიცილით შესცქერიანო.

— ჩქარა უშველეთ, დაიხრჩობაო, — შესძახა ხალხს.

ხალხმა კი უპასუხა, რა ჩვენი საქმეაო.

გაჯავრდა მგზავრი, ეს რა ულმობელი ხალხი ყოფილა ამ სოფელშიო და თავად გადაეშვა მდინარეში ბიჭის დასახსნელად. ძლივს გამოიყვანა სამშვიდობოზე, სული მოათქმევინა და სახლამდე მიაცილა.

რაკი მზე ჩასული იყო, იმ ღამით მგზავრი „რა ჩემი საქმეას“ სახლში დარჩა. მგზავრი თურმე საქვეყნოდ განთქმული ექიმი იყო და ხალხმა ეს რომ გაიგო, „რა ჩემი საქმეას“ სახლს მიადგა, გამოიძახეს ბიჭი და უთხრეს:

— რაც იყო, იყო. შევრიგდეთ. სთხოვე შენს სტუმარს, უსინათლო მოხუცი მოგვირჩინოს, სხვა ავადმყოფებიც გასინჯოს და უწამლოსო.

გადაიხარხარა „რა ჩემი საქმეამ“ და ნიშნის მოგებით მიახალა, რა ჩემი საქმეაო!

მას შემდეგ, როცა ბიჭს რაიმე უჭირს, რა ჩვენი საქმეაო, — ხალხი ამბობს, თუ სოფელს უჭირს, რა ჩემი საქმეაო, — გაიძახის ბიჭი.

ისე, ამ ამბავს რომ გიყვებით, რა ჩემი საქმეა, ან რა თქვენი საქმეა, მაგრამ მაშ ვისი საქმეა?

ახალდაბა და **დაბაძველი** სოფლებია იმერეთში. დაბაძველი არის აგრეთვე აჭარაში, ხოლო ახალდაბა რამდენიმე დასახლებულ პუნქტს ჰქვია ქართლში, კახეთში, აჭარასა და აფხაზეთში. ამათგან მხოლოდ ერთი, ბორჯომის რაიონში მდებარე ახალდაბაა ნამდვილი დაბა ანუ ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი, დანარჩენები კი სოფლებია. სოფლის სახელად გვხვდება აგრეთვე ცალკე დაბა (ბორჯომის რაიონში).

რატომ დაერქვა ასეთი სახელები სოფლებს? იმიტომ, რომ დაბა ძველად სწორედ სოფელს ნიშნავდა, სიტყვა „სოფელი“ კი უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა და ქვეყანას აღნიშნავდა.

ამრიგად, ახალდაბა იმასვე ნიშნავს, რასაც ახალსოფელი. საქართველოში ახალსოფელიც ბევრ სოფელს ჰქვია. რამდენიმე სოფლის სახელად გვხვდება აგრეთვე ახალშენი, ახალუბანი, ქალაქების სახელად კი — ახალციხე და ახალქალაქი.

ბარისახო სოფელია ხევსურეთში. იქვე არის მეორე სოფელიც, რომელსაც უკანახო ჰქვია. არის აგრეთვე სოფელი დიახო (ცხინვალის რაიონში). ახო ცალკეც გვხვდება სოფლის სახელად აჭარაში. ახო ეწოდება იმ ადგილს, სადაც წინათ ტყე ყოფილა, გაუკაფავთ და საყანედ უქცევიათ. ამრიგად, ბარისახო წარში, დაბლობში მდებარე საყანე ადგილს ნიშნავს.

პროფ. **ზურაბ ჭუმბურიძე**

ბებო და ფისო

ალექსი ნამორაძე

ბებოს წინდის ქსოვის დროს
დაუვარდა გორგალი.
ფისომ თათი გამოჰკრა,
ბრუნავს როგორც ბორბალი.
ბებო ფისოს გაუწყრა,
— ეგ რა ჩვევა გქონია!
გორგალს რომ აბურთავებ,
ჯაგვი ხომ არ გგონია?

ჟეარი

ავთანდილ მეგრელიშვილი

— რა ატირებს ამ ბიჭუნას?
— შესცივნია ომარიკოს.
ამბობს:— თოვლი რა კარგია,
ასე ცივი რომ არ იყოს!

ეშმაკი მელია

ქ. გოგიაშვილი

გამობრძანდა სოროდან,
თეთრად მოჩანს გზა-შარა,
— ბიჭოს! თოვლი მოსულა!—
მიცუნცულებს ჩქარ-ჩქარა;
— მონადირემ თუ გნახა!—
თავს დასჩხავლა ყვანჩალამ,—
ნაკვალევი თავისი
გრძელი კუდით წაშალა!

თინათინ კვირიკაძე

ყინულის მოედანზე

ყინულის ვრცელ მოედანზე
ისე უნდა ვისრიალო,
რომ ყველანი კითხულობდნენ,
ეს გოგონა ვისიაო.

ღორმუცელა

ზურას თხილი, კანფეტები
ჯიბეში არ ეტევა,
მაგრამ თავის მეგობრისთვის
ერთიც არ ემეტება.

მაიკომ თქვა

გივი გეგეჭკორი

მაიკომ თქვა:
მეყო, ზაფხულს
გავუწიე ანგარიში,
დროა თმა რომ გავიზარდო,
მე როდესაც თმას გავიშლი,
ერთ მდინარედ გაიქცევა
ხუჭუჭი თმის ორი ტოტი,
აღიდებულ იმ მდინარეს
არ ექნება კალაპოტი,
ათასფერად გაბრწყინდება
მზის ჰავლები და ტალღები,
ზედ ივლიან ანძიანი
გემები და კატარღები...

ჩქარა გამოსათქმელი

კატას კეტით არავინ სცემს, კოტე კატას კეტით სცემდა.

ნაქურდალი ქურქის ქუდი ქურდსა ქუდად თავს ეხურა.

მხატვარი იოსებ სამსონაძე

ასანთის ღერებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიალა თეფშზე დაალაგეთ 5 ცალი შუაში ჩატეხილი ასანთის ღერი, ისე, როგორც პირველ ნახატზეა ნაჩვენები.



შემდეგ ასანთის ღერებისაგან შექმნილი ფიგურის შუაში ფრთხილად დააწვეთეთ ერთი ან ორი წვეთი წყალი.

ასანთის ღერები ნელ-ნელა გაიშლება და ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფორმას მიიღებს.

ნეტავ რატომ მოხდა ასე?

გახსოვდეს!

კალმით დაწერილს ნაჯახით ვერ ამოშლი.

ცუდად ცოდნას უცოდინარობა ჯობს.

ცოდნა ლუკმაპურს არ ითხოვს, თვითონ კი ლუკმას გამოვნინებს.

უსაქმურისათვის მზეც არ ამოდის თავის დროზე.

ჩიტი ფრთებით არის ცნობილი, ადამიანი კი — ცოდნით.

თეთრი და წითელი

სცადე ისე გააწითლო კიდევ 16 უჯრედი, რომ ყოველ შვეულ და თარაზულ რიგში, აგრეთვე ორივე დიაგონალზე თექ-თექი თეთრი და წითელი უჯრედი იყოს.



ხალხური გამოცანები

ერთი მშრომელი მწერია,
ტკბილ-ტკბილ საჩუქრებს გვპირდება,
სახლი აქვს ისე ნაშენი,
ხუროსაც გაუჭირდება.
(სკაფუტკარი)

ერთი თეთრი კოშკი ვიცი,
კარ-ფანჯარა ვერსად ნახეს,
შიგ რომ მდგმური გაიღვიძებს,
კარს თვითონვე გამოაღებს.
(კვერცხი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანბანური ეტიუდი

გავშვებო, ხომ გიყვართ თამაში? კუკუმალულობია, დაჭერობანა, კატათაგვობანა, და კიდევ რამდენი გასართობი თამაში გაქვთ ქართველ გავშვებს! სხვა ქვეყნების გავშვებსაც აქვთ თავიანთი საყვარელი თამაშები—ისინიც ხომ გავშვები არიან, და განა შეიძლება გავშვს თამაში არ უყვარდეს?!

დღევანდელი ნომრიდან გაეცნობით დედამიწის სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ თამაშებს. იქნებ თქვენც მოგეწონოთ ეს თამაშები! სინჯეთ, ითამაშეთ!

აფრიკელ ბავშვებს ძალიან უყვართ ერთი ასეთი თამაში:

სიმინდობია

ორი ბავშვი მიწაზე ჯდება ერთიმეორის პირისპირ ასე 3—4 მეტრის შანძილზე და მიწაში სიმინდის ტაროს ასობს.

ნიშნის მიცემისთანავე ბავშვები ერთიმეორისაკენ ბურთს აგორებენ ისე, რომ მოწინააღმდეგის ტარო წააქციონ. ვინც წააქცევს, ქულა ჩაეთვლება. მოგებული ის დარჩება, ვინც უფრო ადრე მოაგროვებს ქულათა დათქმულ რაოდენობას.

თივიდან აზომამდე

ატომი პატარაა—მას უძლავრესი მიკროსკოპითაც კი ვერ დავინახავთ, მაგრამ სამაგიეროდ ლონიერია. მასში უდიდესი ენერგია—ატომური ენერგიაა დამალული. ატომის ენერგია მილიონობით უფრო ძლიერია, ვიდრე ბენზინის ენერგია. ამიტომ ატომის ენერგიით მომუშავე ძრავას ბევრი საწვავი არ სჭირდება. რომ გაიზრდები, მაშინ იმასაც ისწავლი, რომ ატომი ყველაზე მცირე ნაწილაკი არ ყოფილა, მის გულში არის ატომზე ათასჯერ უფრო პატარა ნაწილაკები და ამ ნაწილაკებს ატომზე გაცილებით მეტი ძალა აქვთ.

ხომ კარგი იქნება ამ ენერგიის მოპოვება და დამორჩილება!

ახლა რაკეტებს დედამიწიდან ძალიან შორს ვერ ვაგზავნით—საწვავი არ ჰყოფნის. მაშინ კი საჰაერო ხომალდებს შორეულ სამყაროში — ვარსკვლავებისაკენ გავაგზავნით.

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს საბავშვო უურნალი. უმცროსკლასელთათვის

გამოცემის ნმ-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

უდაზე ნახატი თამაზ ხუციშვილისა

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, კუკური ბოგიაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, ჯურაბ ლეშკაშელი (პ/მგ მდივანი), მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, მაუგალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძნელაძე, მერი ფიკლაური, გივი ჭიჭინაძე.

ტექრედაქტორი ედდი ფერეიელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-41-30, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. 93-10-32, 93-98-19; 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 30/IX-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/X-80 წ., ქაღალდის ზომა 60×90¹/₈. ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 168.000. შეკვ. № 2617. „Дила“ № 12. журнал для младшеклассников. на грузинском языке. Тбилиси, ул. Ленина, 14.

ბ 109/185

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნეების
განძილზე მთავარი
ენერგია
იყო...
თივა და ჯვავი

გამოიგონეს
მანქანა
და სანთვის
ენერგიად
შეეა იქცა

გასულ
საუკუნეში
ანთეს
ფარნები
გაზის
ნათურა-
ლებით

ქვანახშირმა
შეცვალა შეეა,
ორთქმავლებმა
გაცილებით
უმატეს
სვლას



საბჭოთა
წყალგირების
პირველ
წლებში
შატუნის
ელადგარს
ტორფით
ამუშავებ-
დნენ

ნავთობზილან
მიიღეს
ბენზინი,
ნავთი,
ლიგროინი,
სალიარაკ,
მაზუთი

ახლა
საწვავი
იძლევა
მილიონჯერ
მეტ ენერგიას
ვიდრე
ბენზინი